ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5803521

ნომერი: AR1873368

თარიღი : 10.02.2022

გაცემის თარიღი : 14.02.2022

გაცნობის თარიღი : 15.02.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქ. წამებულის გამზირზე N25 დაN29 სახლებს შორის, (ნაკვ. 122/17);

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეონა გაბუნია პ/ნ 01008013998
- თბილისი ა.რაზმაძის ქ. N 33

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ვინაიდან ხდება ფასადის ფერის ცვლილება და სარეკლამო აბრის განახლება შესაბამისად მითითებული უნდა იქნას ორი ნომენკლატურა, კერძოდ: ,, შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება > რეკონსტრუქცია“ და „ აბრებისა და რეკლამების განთავსება > რეკონსტრუქცია“, რისთვისაც გირთავთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკს.
2. წარმოდგენილი იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა სხვადასხვა ხედებიდან და ამავე ფოტოებზე შესრულებული ფოტომონტაჟი.

3.ფოტომონტაჟზე სრულად იქნას დატანილი ზომები, მასალა და ფერის კოდები.
-სარეკლამო აბრის ნაწილში დაცულ იქნას რეკლამის და ენის შესახებ კანონი. (ქართულენოვანი წარწერა არ იკითხება)
-გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა სარეკლამო აბრა მოწყობილ იქნას მოცულობითი ასოებით, ფონის გარეშე.
-წარმოდგენილ იქნას კარგად აღქმადი ფოტომონტაჟი. ფოტომონტაჟზები დამუშავებულ იქნას განახლებულ ფოტოსურათებზე. (მონტაჟზე აბრა არ ჩანს)

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენიმხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილიდოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.